

სახელის, გვარის შეცვლის რეგისტრაცია

საკონსულო სამსახური უფლებამოსილია, თქვენი მოთხოვნის და კანონით გათვალისწინებული პირობების არსებობის შემთხვევაში, დაიწყოს თქვენი სახელის, ან გვარის შეცვლის რეგისტრაციის საქმისწარმოება.

სახელის, გვარის შეცვლის რეგისტრაცია ხორციელდება განაცხადის წარდგენიდან 45 დღეში.

საკონსულო სამსახურში სახელის, გვარის შეცვლის რეგისტრაციის მოთხოვნა შეუძლია საქართველოს მოქალაქეს და აგრეთვე საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირს, რომლის დაბადება რეგისტრირებულია საქართველოში.

სახელის ან/და გვარის შეცვლის რეგისტრაციის საფუძველია დაინტერესებული პირის განცხადება და ქვემოთ აღნიშნული გარემოებები. არასრულწლოვან და ქმედუუნარო პირებს წარმოადგენს მათი კანონიერი წარმომადგენელი. 10 წლის და ზემოთ ასაკს მიღწეული არასრულწლოვანმა თავად უნდა გამოთქვას თანხმობა სახელისა და გვარის ცვლილებაზე.

პირს სახელის შეცვლა შეუძლია მხოლოდ ერთხელ.

პირს შეუძლია შეიცვალოს გვარი და მიიღოს:

- ა) პირდაპირი აღმავალი შტოს ნათესავის გვარი;
- ბ) მშობელთა შეერთებული გვარი;
- გ) ფაქტობრივი აღმზრდელის გვარი;
- დ) მშვილებლის გვარი;
- ე) მეუღლის გვარი;
- ვ) სხვა სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ მისთვის მინიჭებული გვარი.

მომსახურების გაწევისათვის აუცილებელია საკონსულო სამსახურში გამოცხადება. მომსახურების მიღება შესაძლებელია წარმომადგენლის მეშვეობით.

წარსადგენი დოკუმენტები:

- 50 აშშ დოლარი მანი ორდერი;
- სახელის, გვარის შეცვლის პირობების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტები;

- წარმომადგენლის მეშვეობით სახელის, გვარის შეცვლის რეგისტრაციის დროს, დამატებით წარმოსადგენი იქნება რწმუნებულების დამადასტურებელი დოკუმენტი და მინდობილი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ცნობისათვის: სხვა სახელმწიფოს მიერ გაცემული ნებისმიერი დოკუმენტი დამოწმებულ უნდა იყოს აპოსტილით დამოწმებული.

განსაკუთრებული წესი მოქმედებს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების მიმართ. ამ შემთხვევაში დამოწმების შემდგომ უნდა მოხდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მხრიდან ამ გადაწყვეტილების ცნობა.

ცნობისათვის: სხვა სახელმწიფოს მიერ გაცემული ნებისმიერი დოკუმენტი წარდგენილ შეიძლება იყოს ქართულ, ინგლისურ ან რუსულ ენებზე. იმ შემთხვევაში თუ თარგმანი განხორციელებულია უცხო ქვეყნის ორგანოების მიერ, თარგმანის მიმართაც გამოიყენება ზემოთხსენებული დამოწმების პროცედურები.

სახელის, გვარის შეცვლის რეგისტრაცია და შესაბამისი მოწმობის გაცემა ერთიანი პროცესია. ცვლილების რეგისტრაციის შედეგების ასახვა მოხდება გარკვეულ სამოქალაქო აქტებში.

იმ შემთხვევაში, თუ თქვენი სახელი ან გვარის შეცვლა მოხდა უცხო სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების მიერ, ამ დოკუმენტების შესაბამისი ფორმით დამოწმების შემთხვევაში, თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ ამ ცვლილების ასახვა თქვენს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში ისე, რომ არ განახორციელოთ სახელის ან გვარის შეცვლის ხელმეორედ რეგისტრაცია.

მომსახურების გაწევაზე უარი შეიძლება ითქვას, თუ:

- მომსახურების მიმღები პირის მუდმივი ან დროებითი საცხოვრებელი ადგილი არ არის საკონსულოს სამოქმედო არეალი;
- მოთხოვნა არ არის გაკეთებული მომსახურების მიღების უფლებამოსილების მქონე პირის მიერ;
- არ არის წარმოდგენილი მომსახურების მიღებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები.